ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

# ᲚᲔᲚᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲙᲠᲔᲨᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

9 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 1989 Წ. № 174 (10 093) ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲒᲐᲛᲝᲥᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲐᲠᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ


## ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲔᲑᲘ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

# ᲤᲘᲜᲘᲨᲐᲛᲓᲔ ᲯᲔᲠ ᲨᲝᲠᲡᲐᲐ

**ᲗᲣ** საბჭოთა კავშირში სადმე უნდა აგებულიყო „მაქსი კლასის“ ისეთი აფრიანი ნავი, დედამიწის გარშემო რბოლაში რომ მიიღებდა შონაწილეობას, უპირველეს ყოვლისა, ფოთში — ამ ქალაქის გამოსაშენებელი ქარხნის „კომეტები“ და „კოლხიდები“ ხომ მსოფლიოს 12 ქვეყნის „ცისფერ გზებს“ სერავენ.

ფოთელთა ნახელავმა „ფაზისმა“ სპეციალისტთა აშკარა მოწონება დაიმსახურა. ორიგინალური კონსტრუქცია და, რაც მთავარია, სიმსუბუქე ამ ნავს წარმატების რეალურ შანსს ანიჭებს.

თუმცა ახლა პროგნოზების დრო აღარ არის — სტარტი მიცემულია და „უითბრედის“ მონაწილეებმა 1000 მილზე მეტი გაცურეს. ყველასათვის მოულოდნელად, ნავები მჭიდრო ჯგუფად მიემართებიან პირველი საშუალედო ფინიშისკენ — პუენტა დელ ესტასკენ. ეს რბოლას განსაკუთრებულ დაძაბულობას ანიჭებს.

ჩვენებურ და უცხოელ სკეპტიკოსთა გასაკვირად, „ფაზისი“-„პეპსი“ „თავს მშვენივრად გრძნობს“. მართალია, კარგად აღებული სტარტის მერე „ფაზისს“ მაინც გაუსწრეს უფრო დიდმა ნავებმა, რომელთაც აფრიანობის მეტი კოეფიციენტი აქვთ, მაგრამ ბისკაის სრუტეში „წამოსწრებულ“ 10-ბალიან შტორმს ჩვენი ნავი იოლად „გაუმკლავდა“.

ჯერჯერობით პუენტა დელ ესტას ყველაზე ახლოს — 5170 მილით — მიუახლოვდა ინგლისის ნავი „როტმანსი“. მას ერთი მილით ჩამორჩება ახალზელანდიელთა „სტეინლაგერი“. „ფაზისს“ პირველ ფინიშამდე დარჩა 5211 მილი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უფრო დიდ ნავებთან შედარებით მას ნაკლები სარბოლო ბალი აქვს, მისი პოზიცია ფრიად მომგებიანია.

ერთი სიტყვით, ფინიშამდე ჯერ შორსაა, ვნახოთ...

დიანა დარჩია

# „ᲨᲔᲜ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑ!“

## ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲔᲥᲝ

**ᲓᲘᲐᲜᲐ** დარჩიამ ძალიან ადრე ისწავლა ჭადრაკის თამაში, მაშინ, როცა ჯერ კიდევ წერა-კითხვა არც იცოდა. ვინც ბათუმში, გორკის ქუჩაზე მისი მშობლების ბინას სწვევია, არ შეიძლება ყურადღება არ მიექცია ერთი გარემოებისთვის: აქ პრიზების მთელი კოლექციაა, რაც გოგონამ სხვადასხვა შეჯიბრებაში დაიმსახურა. დიანა დიდი სიამოვნებით უპასუხებს ხოლმე ჟურნალისტების შეკითხვას: „ეს თასი სად მიიღე?“ სიამოვნებით უპასუხებს, რადგან იმ განვლილ ასპარეზობებს იხსენებს, ყველაფერი ახსოვს, თითოეული დეტალი.

მოხდა ისე, რომ მოსწავლეთა რესპუბლიკური შეჯიბრებები რამდენიმე წლის განმავლობაში ზედიზედ მწვანე კონცხზე იმართებოდა. იქ დიანა, უპირველეს ყოვლისა, იმით დაგვამახსოვრდა, რომ ყველაზე პატარა იყო და პარტიებს... ყველაზე ადრე ამთავრებდა. იყო ერთი დასამახსოვრებელი ამბავიც: დედამისს, ქალბატონ ლიანას, თუმიდან მოჰქონდა ერთი დიდი ბალიში, ურომლისოდაც გოგონა, სკამიდან, დაფას რიგიანად ვერ სწვდებოდა. მართალია, იყო „გამოსავალიც“ — პატარა მოჭადრაკე, სხვა შემთხვევაში, საჭადრაკო მაგიდასთან უნდა დამდგარიყო და ისე ეთამაშა. ამას კი, ცხადია, არც ერთი მსაჯი არ დაუშვებდა! ახლა, რა თქმა უნდა, ბალიშის აქეთ-იქით ტარება საჭირო აღარ არის, მაგრამ როცა წელს მაისში დარჩიებს ვეწვიე და სრულიად შემთხვევით იმ ბალიშს მოვკარი თვალი, სიცილი ამივარდა. კიდევ ერთი რამ დამამახსოვრდა მწვანე კონცხის იმდროინდელი „ეოპეებიდან“. ეს იყო დიანას პირველი მწვრთნელის, გამოცდილი პედაგოგის გურამ ჭანტურიას შეგონება: „ძალიან სწრაფად თამაშობ! ჯერ სვლას აკეთებ და მერე ფიქრობ. პირიქით უნდა მოიქცე, ჯერ იფიქრო და შემდეგ ითამაშო!“...

ერთი სიტყვით, გოგონა ჭადრაკით ჯერ კიდევ მაშინ დაინტერესდა, როცა ექვსი წლისაც არ იყო, არა, ჭადრაკს მისთვის სხვა სათამაშოები არ დაუვიწყებია, ჭადრაკთან კარგა ხანს „თანაარსებობდა“ თოჯინები, მაგრამ გავიდა დრო და ეს თოჯინები წიგნებმა შეცვალა. ახლა სხვა „თანაარსებობაც“ დაიწყო.

საჭადრაკო კლუბი „ციცინათელა“ ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკშია მოთავსებული. პარკის დირექტორმა რეზო ბოლქვაძემ აქ თანდათანობით უამრავი ატრაქციონი მოაწყო და აი, დიანას მწვრთნელი ჩივის, რომ როცა გოგონას მეცადინეობა უმთავრდება, ხს პირდაპირ ატრაქციონებს მიაშურებს ხოლმე. თუმცა, რა არის ამაში ცუდი! ვინა თქვა, რომ მოჭადრაკე, თუნდაც ახალგაზრდა, მაინცდამაინც მეტისმეტად „სერიოზული“ უნდა იყოს! როგორ არ გავიხსენოთ ის „გასაღები“, რომელიც ჩარლი ჩაპლინმა „მოარგო“ რვა თუ ცხრა

იხ. მე-2 გვ.

# Ე. Ა. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

**ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ** დღეს საქართველოს სს რესპუბლიკაში იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე. იგი ეცნობოდა რესპუბლიკის საქმის ვითარებას.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში გაიმართა საფუძვლიანი საუბრები მის ხელმძღვანელებთან. ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან. საუბარი შეეხებოდა პოლიტიკური ვითარების ნორმალიზაციის გზებს, იმას, რომ საჭიროა შრომითი რიტმის აღდგენა, დისციპლინისა და მართლწესრიგის დაცვა, პოზიტიური ცვლილებების უზრუნველყოფა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

თბილისში ე. ა. შევარდნაძემ მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაში, რომელმაც განიხილა რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შემდგომი გაჯანსაღებისა და სტაბილიზაციის ღონისძიებათა საკითხი.

გაიმართა ე. ა. შევარდნაძის შეხვედრა ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ახალ სარდალთან, გენერალ-პოლკოვნიკ ვ. ო. პატრიკეევთან და ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრთან — პოლიტსამმართველოს უფროსთან, გენერალ-ლეიტენანტ ა. ნ. ნოვიკოვთან. განიხილეს თბილისის აპრილის ამბებთან დაკავშირებით რესპუბლიკის მშრომელებსა და ოლქის მეომრებს შორის შერყეული ნდობისა და ურთიერთგაგების აღდგენის, ტრადიციული ურთიერთობის განმტკიცების საკითხები.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სამხრეთის მიმართულების ჯარების მთავარსარდალი, არმიის გენერალი ნ. ი. პოპოვი, სამხრეთის მიმართულების ჯარების სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. ოვჩინიკოვი.

ე. ა. შევარდნაძე ესაუბრა აგრეთვე ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის სარდლობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი შეხვდა რესპუბლიკის [illegible] და შემოქმედი [illegible] ინტელიგენციის, შრომითი კოლექტივების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებს. გაიმართა გულახდილი საუბარი და კონსტრუქციული აზრთა გაზიარება საქართველოს პოლიტიკური სიტუაციისა და ეკონომიკური მდგომარეობის, გარდაქმნის პროცესების გაღრმავების გზების, რესპუბლიკის სუვერენიტეტის რეალური შინაარსით გამდიდრების შესახებ.

ე. ა. შევარდნაძემ დაათვალიერა რესპუბლიკის დედაქალაქის საქალაქო მეურნეობისა და ვაჭრობის მთელი რიგი ობიექტები. ესაუბრა თბილისელებს. საგარეჯოს რაიონში იგი ეწვია უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობას, ესაუბრა მის მშრომელებს — სტიქიურ უბედურებათა გამო საქართველოს მთიანი რაიონებიდან ჩამოსახლებულებს.

(საქინფორმი)

## ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲘᲡ ᲬᲘᲜ

**ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ** ქალაქ შელეფტეოში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირები ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობდნენ საერთაშორისო დიდოსტატები ნანა ალექსანდრია და ნინო გურიელი.

ქალთა ტურნირში 6 მოჭადრაკე მონაწილეობდა. შეჯიბრება წრიული სისტემით (2 წრედ) ჩატარდა. 10 შესაძლებლიდან 8 ქულით I ადგილი დაიკავა ნინო გურიელმა, 6,5 ქულით მეორე იყო კიეველი საერთაშორისო დიდოსტატი ლიდია სემიონოვა. 6 ქულით III ადგილი ხვდა ნანა ალექსანდრიას.

ვაჟთა ტურნირში, რომელიც შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად ჩატარდა, მონაწილეობდა 74 მოჭადრაკე, მათ შორის ჩვენი ქალებიც გამოდიოდნენ. ნინო გურიელმა და ნანა ალექსანდრიამ 8-8 ქულით III-IV ადგილები გაინაწილეს.

**ᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲘ** ქვეყნის ახალგაზრდა ძიუდოისტებმა მოიყარეს პოლონეთის ქალაქ პოლშტინში გამართულ საერთაშორისო ტურნირში. მონაწილეთა შორის იყვნენ ჩვენი სპორტსმენებიც, რომლებმაც ყველა სინჯის მედალი მოიპოვეს: 95 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო ხაშურელი ვეფხია კაპანაძე, ახმეტელმა ვასილ ომარაშვილმა (96 კგ) და თბილისელმა შალვა ბექაურმა (მძიმე წონა) მეორე ადგილები დაიკავეს, ლაგოდეხელმა კახაბერ თურქაძემ — მესამე.

## ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ

# ᲒᲐᲐᲖᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ, ᲨᲔᲣᲞᲝᲕᲠᲝᲑᲘᲗ

**ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲬᲐᲓᲘᲚᲘᲗ** ვადევნებთ თვალს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის შესახებ გაზეთ „ლელოში“ გამოქვეყნებულ ყველა მასალას. ამ იდეას ვიწონებთ და მხარს ვუჭერთ.

დარწმუნებული ვართ, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნა უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება როგორც ქართული ეროვნული კულტურის, ასევე ქართული ოლიმპიური მოძრაობის მსოფლიო სარბიელზე წარმოსაჩენად.

ჩვენ ვიცით, რომ ამ მიზნის განხორციელება დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ამისათვის მეტი თავდადებული შრომაა საჭირო, შრომა ყველა უბანზე, ყველა მიმართულებით. ეს კი თითოეული ჭეშმარიტი ქართველისაგან მოითხოვს გააზრებულ მოქმედებასა და შეუპოვარ ნებისყოფას.

ქუთაისის სახალხო განათლების სამმართველოსთან არსებული თარგმანისა და ბეჭდვის კოოპერატივი „ოლიმპი“, რომელმაც საერთო კრებაზე განიხილა და მოიწონა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის იდეა, მზად არის თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის საქმეში და ყოველთვიურად გადარიცხოს მის ანგარიშზე 100 მანეთი. მოგვწერეთ ანგარიშის ნომერი.

**ᲝᲛᲐᲠ ᲪᲘᲪᲘᲐᲫᲔ,**
„ოლიმპის“ თავმჯდომარე, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

## ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ: „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ — „ᲨᲐᲓᲠᲔᲕᲐᲜᲘ“

**ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ** საქართველოს საფეხბურთო თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი წყალტუბოს „შადრევანსა“ და ზუგდიდის „დინამოს“ შორის. თამაშის ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ — 2:2. დამატებითი პენალტების სერია უკეთ შეასრულეს წყალტუბოელებმა, გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2 და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

რესპუბლიკის თასის ფინალში ერთმანეთს ცხინვალის „სპარტაკი“ და წყალტუბოს „შადრევანი“ შეხვდებიან. ეს მატჩი 14 სექტემბერს გაიმართება თბილისში.

**ᲛᲔᲮᲣᲗᲔᲗᲘᲡ** ისტორიული წარსული სპორტთანაცაა წილნაყარი. ამ კუთხის უძველეს მინაზე, როგორც ვარაუდობენ, ოდესღაც თურმე ოლიმპიური თამაშებიც კი ტარდებოდა. ახალციხის რაიონში ხოლო წლებში კულტურისა და დასვენების რამდენიმე მნიშვნელოვანი კერა გაჩნდა. ამ დღეებში კი აქ ახალი სპორტული კომპლექსიც გაიხსნა.

(იხ. მე-2 გვ.).

# თქვენ დაგელოცოთ მარჯვენა!

**მესხეთის მიწაზე**

**ორიოდე** წლის წინათ ახალციხელებს ქალაქის ჩრდილოეთ მხარეს გახედვაც არ უნდოდათ — ნაგვის გორები და გადათხრილი მიდამო უსიამოვნო პეიზაჟს ქმნიდა. ამას ემატებოდა კანალიზაციის გამწმენდი უსახური ნაგებობა, რომელსაც წლების განმავლობაში აღარავინ იყენებდა. ერთი სიტყვით, ქალაქის ეს განაპირა უბანი, მეტი რომ არ ვთქვათ, შერისხულად ითვლებოდა. და აი, მოხდა ისე, რომ ეს ადგილი დღეს აქაურთა ყველაზე საამაყო და თითით საჩვენებელ უბნად გადაიქცა და მის სიახლოვეს ცხოვრება, ალბათ, სულ მალე პრესტიჟულიც გახდება.

რამ გამოიწვია ასეთი მეტამორფოზა? დღეს აქ გახსნილია ახალციხის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ცენტრი — კულტურულ-სპორტული კომპლექსი. სათქმელად ადვილია, თორემ ეს ადგილი თუ ასე გარდაიქმნებოდა, თავიდან ყველას როდი სჯეროდა...

ყველა დიდ საქმეს თავისი დონის ორგანიზატორი ანუ ისეთი ადამიანი სჭირდება, რომელიც „ასაკეთებელს ჯერ თვითონ გაისიგრძეგანებს და შემდეგ მის რეალობაში სხვასაც ეაარწმუნებს. ასეთი ადამიანი აღმოჩნდა პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი შალვა შანიძე.

ერთ დღეს მდივანმა გამოიძახა მშენებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც ძირითადად 30 კილომეტრით დაშორებული ადგილებიდან ეზიდებოდნენ ხრეშს, დაავალა ზემოაღნიშნული ადგილიდან ამოეღოთ ინერტული მასალა. მშენებლებს ასეთი საჩუქრისათვის მადლობის მეტი რა ეთქმოდათ. სამ თვეში ხუთ ჰექტარ ფართობზე უზარმაზარი ორმო გაჩნდა, სადაც შემდეგ მდინარე ფოცხოვის წყალი შეუშვეს. ასე შეიქმნა ახალციხეში მშვენიერი ხელოვნური ტბა. პარალელურად ტბის ორივე ნაპირზე გაშენდა სამი ჩოგბურთის კორტი, ფინიფეხბურთის მოედანი და კოტეჯი, ხოლო ქალაქის გამოღმა მხარეს კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა არქიტექტორთა ფანტაზიამ ლამაზ შენობად აქცია. დღეს აქ აუზი, საუნა და დისკობარია. აქვე მოეწყობა კუთხე ტრენაჟორებისთვის, კომპლექსის ტერიტორიაზე საპატიო ადგილი დაიკავა ავტოდრომმა. ტბაზე გაიდო ხიდი და ყოველივე ამის შექმნაში, როგორც პარტიის რაიკომის მეორე მდივანმა ლიანა ხმალაძემ და საქმეში ჩახედულმა ბევრმა სხვამაც აღნიშნა, შალვა შანიძის დამსახურება განსაკუთრებულია. იგი ყოველდღიურად სამშენებლო პოლიგონზე ტრიალებდა. მდივნის ეს უანგარო პატრიოტიზმი გადამდები აღმოჩნდა, სწორედ ამიტომაც, შეძლებისდაგვარად, ყველამ თავისი სული და გული ჩაქსოვა ამ საშვილიშვილო საქმეში.

და აი, ამ დღეებში ახალციხეში ოფიციალურად გაიხსნა სპორტული კომპლექსი, რომელსაც უამრავი სტუმარი და ადგილობრივი მაცხოვრებელი ეწვია. მიტინგის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. ადგილობრივ ხელოვნების მუშაკთა გვერდით საქართველოს ფილარმონიის მომღერლები მანანა თოდაძე, თეიმურაზ წიკლაური, კოტე მაკარაძე... ანსამბლი „საუნჯე“ მონაწილეობდნენ.

მოვუსმინოთ შ. შანიძეს: — კომპლექსი ძირითათად ააგო საქკომუნრემმშენის ტრესტის №1 ახალციხის სარემონტო-სამშენებლო სამმართველომ, რომელსაც გვერდით ედგა ახალციხის ყველა ორგანიზაცია, ახალგაზრდობა. მთავარი ის იყო, რომ ხალხი მოვალეობის მოსახდელად კი არა, პატრიოტული გრძნობით ირჯებოდა. მაგრამ ყოველგვარ მშენებლობას ხომ ფინანსური საფუძველი სჭირდება. აქ გადამწყვეტი სიტყვა თქვა საქქვანახშირის რესპუბლიკურმა სამმართველომ (მმართველი ქიტე კიზირია). მშენებლობა მთლიანად 340 ათასი მანეთი დაჯდა. ახლო მომავალში ამოქმედდება „საბავშვო ქალაქი“, სადაც ავტო-მოძრაობის წესებს ისწავლიან, გარდა ამისა, გვინდა სანიჩბოსნო ბაზაც მოვაწყოთ. უკვე შევიძინეთ და დამსვენებლებს მოემსახურება რამდენიმე ნავი და კატარღა. ტბის მეორე ნაპირზე ეულად მდგომ კოტეჯს რამდენიმე წელიწადში „თანამოძმეები“ გაუჩნდება. იგი შეუძლიათ დაიქირავონ დამსვენებლებმა, ამაზე ფიქრი იმანაც განაპირობა, რომ სასაზღვრო ზონის გაუქმების შემდეგ, მესხეთს უამრავი ადამიანი მოაწყდა. ბევრს აინტერესებს ჩვენი მხარე, აქაური ღირსშესანიშნაობები. ახალციხის ერთადერთი სასტუმრო „მესხეთი“ კი ვეღარ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნას. კიდევ ერთი სასიამოვნო პერსპექტივა ელით სტუმრებს და მასპინძლებს — ტბაში ამჯერად საკმაოდ ბევრი თევზია (მის მოშენებას სამი კაცი ემსახურება), გვინდა დავნერგოთ სპორტული თევზჭერაც.

ძირითადი საქმე გაკეთდა — აშენდა კომპლექსი, ახლა მთავარია, როგორ გამოვიყენებთ მას. სასწრაფოდ გვჭირდება ჩოგბურთისა და ცურვის სპეციალისტები. ახალციხის განაშენიანება ისეა დაგეგმილი, რომ ხუთწლედის ბოლოს კომპლექსი ქალაქს შეუერთდება და ტბის გასწვრივ მოწყობილი ბილიკი ჯანმრთელობის ჯგუფის ბევრ წევრს მიიზიდავს. ჩვენი მიზანია საქართველოს სპორტულ რუკაზე მესხეთის წარმომადგენლებმაც დაიკავონ საპატიო ადგილი.

**ბოლოთქმა:** იყო დრო, ახალციხე საქართველოს ცენტრში მდებარეობდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ისტორიის დიდმა ქარტეხილებმა იგი ლამის ნაპირში მოაქცია, სასაზღვრო ზონის გამო ნათესავი ნათესავთან ვეღარ მიდიოდა ქართველ კაცს მრავალი ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული ბარიერის გადალახვა უხდებოდა, რომ მშობლიურ კუთხეში მოხვედრილიყო. ესეც იყო მიზეზი, რომ ბევრი რამ დაეკლდა მესხეთს, ეს ნაკლოვანებები, ცხადია, ფიზკულტურასა და სპორტსაც შეეხო. სამწუხაროდ, ამ მხარეს არ ჰყოფნის ადგილობრივი უმაღლესი განათლების სპორტის სპეციალისტები. უფრო მეტად უნდა მომრავლდეს ჯანმრთელობის კერები. საჭიროა ყველამ დახმარების ხელი გაუწოდოს აქაურებს, რომ სულ მალე მესხეთის მიწა-წყალზე დაოსტატებული ათლეტების გვარი მსოფლიო სპორტულ სარბიელზეც გაისმოდეს.

**ჯემალ კასრაძე.**
**„ლელოს“ სპეც. კორ.**





**სურათებზე:** ახალციხეში ახალი სპორტული კომპლექსის გახსნისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფრაგმენტები.

**ავტორის ფოტოები.**

# „შენ ძალიან სწრაფად თამაშობ!“

(დასასრული)

წლის ვუნდერკინდ სემუელ რეშევსკის, რომელიც მეტისმეტად უკარება ბავშვად ითვლებოდა, როცა ჩარლიმ მოისურვა ამ საჭადრაკო სარცხვენელთან საუბარი, რეშევსკის თანაგრძნობა ვერ ჰპოვა. მაგრამ ჩაპლინი რის ჩაპლინი იქნებოდა, გამოსავალი რომ არ გამოენახა: „მიდი, ეზოდან ორი ატამი ამოიტანე, ერთი შენ და ერთიც — მე“. ბავშვიც სიამოვნებით გაიქცა...

ატრაქციონები რომ ვახსენეთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ დიანას უყვარს ერთდროული თამაშების სეანსების გამართვა (ატრაქციონების ანალოგიით). პირველი სეანსი, თუ რომ ნუ იტყვით, მას 6 წლის ასაკში გაუმართავს ბაკურიანში.

● **ვის წინააღმდეგ თამაშობდი?**

— დამსვენებლების წინააღმდეგ.

● **როგორ თამაშობდნენ?**

— რა ვიცი! ჩემზე უარესად, ალბათ. იმიტომ, რომ ყველას მოვუგე. აი, ეს პრიზიც მაშინ მივიღე — ჩემი სურათი, რომელიც ერთ-ერთმა წაგებულმა დახატა.

დიანას სურათს, რომლის ავტორია ყაზანელი მხატვარი ირეკ ყურბანფალიევი, საინტერესო წარწერა აქვს: „მსოფლიოს მომავალ ჩემპიონს!“ როგორც ვხედავთ, მხატვარს ნამდვილად ენამ უყივლა!

უკვე სამი-ოთხი წელია, დიანა დარჩია დიდ წარმატებებს აღწევს მოსწავლეთა რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში. რა თქმა უნდა, ამისთვის დიდი შრომაა საჭირო. ბათუმელ მწვრთნელებს გურამ ჭანტურიასა და ლეონიდ ნეურონოვს, რომლებიც დიანას ამეცადინებდნენ, ჭუთაისელი ალექსანდრე რაზოვსკიც ამოუდგა მხარში. დღეისთვის რა მეცადინეობაზეა ლაპარაკი თუ სერიოზული საჭადრაკო ლიტერატურა არ გამოიყენე! და აი, დიანას ბიბლიოთეკა თითქმის ყოველდღიურად მდიდრდება. მისი მამა ოთარი, პროფესიით ინჟინერი, გვათვალიერებინებს ამ წიგნებს, ზოგჯერ საკმაოდ იშვიათ გამოცემებსაც, რომლებსაც სხვადასხვა ქალაქებიდან უგზავნიან, თორემ ბათუმში საჭადრაკო ლიტერატურა ნამდვილად სანთლით საძებარი გახდა. დიანა, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მემკვიდრეობით მოჭადრაკეა“. კარგად თამაშობს მისი მამა, იგივე ითქმის პაპაზე — ჭოლა დარჩიაზე, რომელიც პროფესიით მემანქანეა, ჭადრაკის მოტრფიალე და ენთუზიასტი.

ნიჭიერ მოჭადრაკეს დიდი სარგებლობა მოუტანა იმ მრავალრიცხოვანმა შეკრებებმა, რომლებსაც სახალხო განათლების სამინისტრო აწყობს რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის სულიკო მეგრელიშვილის ხელმძღვანელობით. იყო დრო, როცა დიანა ამ შეკრებების ყველაზე უმცროსი მონაწილე იყო, სხვებთან ერთად ეუფლებოდა საჭადრაკო თეორიას, თამაშობდა საკონსულტაციო პარტიებს, ხსნიდა ტაქტიკურ კომბინაციებს. დღეისთვის კი ამ შეკრებებზე მასზე უმცროსებიც გამოჩნდნენ. ერთ-ერთ შეკრებაზე ბუკნარში (ბათუმის მახლობლად) მწვრთნელმა დიანას (ეს 1987 წელს მოხდა) თავისებური გამოცდა მოუწყო: ჩანთიდან სავარჯიშოების უზარმაზარი დასტა ამოიღო და უთხრა: ყველა უნდა ამოხსნაო. პირობა ასეთი იყო: თითოეული სავარჯიშო 3 წუთში უნდა ამოხსნილიყო, ზეპირად, დაფაზე ფიგურების გადაუადგილებლად. „დოზა“ — დღეში 10 დიაგრამა. შედეგი განსაცვიფრებელი აღმოჩნდა — თითოეულ სავარჯიშოს გოგონა ერთ წუთსაც არ ანდომებდა, თუმცა ისინი ცნობილი დიდოსტატებისა და ოსტატების პარტიების მიხედვით იყო შედგენილი. მაშინ დიანას დედის თხოვნით „დოზა“ დღეში 20 დიაგრამამდე გაიზარდა. რამდენიმე დღის შემდეგ დასტიდან „აღარაფერი დარჩა“. 1988 წლის შეკრებაზე ბაკურიანში მწვრთნელმა ახალი კომბინაციების კრებული წარმოადგინა, ადრინდელზე უფრო რთული. ყველა მათგანი საკმაოდ იოლად იყო დაძლეული — დიანას ხომ ერთი წელი მოემატა. ეს ვარჯიში იქით იყოს და შარშან, ბაკურიანის შემდეგ ნორჩმა ბათუმელმა გოგონამ ბრწყინვალე შედეგს მიაღწია კულდიგაში (ლატვია), მოსწავლეთა საკავშირო პირველობაზე.

წელს მაისში, ბათუმში, ადგილობრივი სპორტის მესვეურებმა ჰკითხეს სულიკო მეგრელიშვილს, როგორი იქნებოდა დიანას პერსპექტივები გოგონათა მსოფლიო პირველობაზე (12 წლამდე). საქმე ის არის, რომ ბატონი სულიკო უკვე მერამდენე წელია ესწრება მოსწავლეთა საკავშირო ჩემპიონატებს და ყველა საყურადღებო პარტიას არჩევს კიდეც.

— პერსპექტივები ძალზე კარგი ექნება, თუკი გააგზავნეს...

ეს „თუკი გააგზავნეს“ კი აი, რას ნიშნავდა. უპირველეს ყოვლისა იმას, რომ თავის ასაკში დიანას კონკურენტი არა ჰყავდა, მაგრამ შეიძლებოდა პუერტო-რიკო თვალთაც არ ენახა. საკავშირო სპორტკომიტეტსა და ჭადრაკის საკავშირო ფედერაციაში ბევრი გამოთქვამდა აზრს, რომ საერთოდ არ იყო საჭირო მონაწილეობა მსოფლიო პირველობებზე ყმაწვილებსა და პატარა გოგონებს შორის. ისეთმა დიდმა ავტორიტეტმა, როგორიც მსოფლიოს ექსჩემპიონი მიხეილ ბოტვინიკია, განაცხადა: „14 წლის მოზარდების გაგზავნა კიდევ შეიძლება. 12 და 10 წლის ბავშვებს რა სარგებლობა უნდა მოუტანოს ცხრა მთას იქით სიარულმა“.

ერთი სიტყვით, მაისში დიანამ ჯერ კიდევ არ იცოდა, ითამაშებდა თუ არა მსოფლიო პირველობაზე, თუმცა საკავშირო შესარჩევ ტურნირში ყველას, რომ იტყვიან, კუდით ქვა ასროლინა. ბოლოს მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება: 10 წლამდე ბავშვების მსოფლიო პირველობაზე არავინ გაეგზავნათ, თავი შეეკავებინათ 12 წლამდე ყმაწვილთა მსოფლიო პირველობაზე მონაწილეობისგან, ამ ასაკის გოგონებს შორის კი ცდის სახით გაეგზავნათ დიანა დარჩია!

შემდეგ რა მოხდა, ყველამ იცის: დიანა მსოფლიო ჩემპიონი გახდა!

რა უნდა ვურჩიოთ ნორჩ გამარჯვებულს? ზოგი მენტორი აიღებდა მის პარტიებს და მრავალსაათიან „ლექციას წაიკითხავდა“. ჩვენ ამას, ყოველ შემთხვევაში ახლა, არ გავაკეთებთ. გვინდა მკითხველს გავახსენოთ, რომ დიანას ჯერ 11 წელიც არ შესრულებია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაისად, როგორც ჩემპიონს, ისევ მოელის იმავე ასაკის გოგონებს შორის თამაში, ამასთან, წინასწარ ცნობილია, რომ ეს უფრო რთული შეჯიბრება იქნება. გაისად დიანას შეეჯიბრება მასზე უმცროსი ბულგარელი ანტუანეტა სტეფანოვა, რომელსაც ბულგარელი (და არა მარტო ბულგარელი) სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. წლეულს პუერტო-რიკოში სტეფანოვა მსოფლიო ჩემპიონი გახდა 10 წლამდე, გოგონებს შორის და ამასთან წმინდა „ფიშერისეული შედეგით“ — 11 პარტიიდან ყველა მოიგო!

მაშ ასე, დიდი ტალანტის მქონე ანტუანეტა სტეფანოვა... ამიტომ ნაწილობრივ დავარღვიოთ ჩვენი პირობა და დიანას ერთი რჩევა მივცეთ, სწორედ ის, სათაურში რომ გამოვიტანეთ...

**ბიბი გამრეკელი.**

## იტალია-90 მსოფლიო ჩემპიონატი

**გასულ** ოთხშაბათს შედგა მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები.

### ევროპა

**II ჯგუფი**

შვეიცის ფეხბურთელებმა სტოკჰოლმში მიიღეს ინგლისის ნაკრები. ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია წარმატებას — 0:0, ჯგუფში გამარჯვებულის საკითხიც ჯერჯერობით ბურუსითაა მოცული.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 5 | 3 | 2 | 0 | 10-0 | 8 |
| შვეიცა | 4 | 2 | 2 | 0 | 4-2 | 6 |
| პოლონეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 2 |
| ალბანეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-10 | 0 |

**III ჯგუფი**

საბჭოთა ფეხბურთელებმა, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად გაინაღდეს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის ერთ-ერთი საგზური. ავსტრიის ნაკრებთან აღებული ქულა (0:0) საამისოდ საკმაოდ საიმედო გარანტიაა, თუმცა, ჩვენს გუნდს ჯერ კიდევ ორი მატჩი აქვს ჩასატარებელი გდრ-ის ნაკრებთან სტუმრად და თურქეთის ფეხბურთელებთან — შინ. მეორე საგზურის მოპოვების შესაძლებლობა აქვთ ავსტრიის, თურქეთისა და გდრ-ის გუნდებს.

პირველი 15-20 წუთის თანაბარი ბრძოლის შემდეგ ინიციატივას საბჭოთა ფეხბურთელები დაეუფლნენ, ბურთის გატანის ხელსაყრელი შესაძლებლობა ჰქონდათ ბესონოვს, პროტასოვს, ჩერენკოვს, კარგად ითამაშა ავსტრიელთა მეკარემ ლინდერბერგერმა.

შესვენების შემდეგ ათიოდე წუთს ავსტრიელები უტევდნენ, ბურთის გატანის შესაძლებლობა ჰქონდათ ჩაკს, ლინცმაიერს, მაგრამ ეს იყო მასპინძელთა ხანმოკლე შტურმი. ორივე გუნდი შეურიგდა ანგარიშს, არც ერთი მხარე არ ცდილა თავი გამოეჩინა და გარდატეხა შეეტანა თამაშში.

გთავაზობთ შესარჩევ ჯგუფში ჩატარებულ თამაშებს, გათამაშების ცხრილს და შემდგომ კალენდარს:

**ისლანდია — სსრ კავშირი 1:1**
თურქეთი — ისლანდია 1:1
გდრ — ისლანდია 2:0
**სსრ კავშირი — ავსტრია 2:0**
ავსტრია — თურქეთი 3:2
თურქეთი — გდრ 3:1
გდრ — თურქეთი 0:2
**სსრ კავშირი — გდრ 3:0**
**თურქეთი — სსრ კავშირი 0:1**
გდრ — ავსტრია 1:1
**სსრ კავშირი — ისლანდია 1:1**
ისლანდია — ავსტრია 0:0
ავსტრია — ისლანდია 2:1
**ავსტრია — სსრ კავშირი 0:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირი** | 6 | 3 | 3 | 0 | 8-2 | 9 |
| **ავსტრია** | 6 | 2 | 3 | 1 | 6-6 | 7 |
| **თურქეთი** | 5 | 2 | 1 | 2 | 8-6 | 5 |
| **გდრ** | 6 | 2 | 1 | 3 | 7-9 | 5 |
| **ისლანდია** | 7 | 0 | 4 | 3 | 4-10 | 4 |

დარჩენილ შეხვედრათა კალენდარი

20.IX ისლანდია — თურქეთი
**8.X გდრ — სსრ კავშირი**
25.X თურქეთი — ავსტრია
**8.XI სსრ კავშირი — თურქეთი**
15.XI ავსტრია — გდრ

ავსტრიელებთან მატჩში სსრ კავშირის ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ჩანოვი, ბესონოვი, ხიდიატულინი, კუზნეცოვი, გორლუკოვიჩი, მიხაილიჩენკო, ჩერენკოვი (ალეინიკოვი), ლიტოვჩენკო, ზავაროვი, პროტასოვი, დობროვოლსკი. იმსჯა ინგლისელმა კ. ჰეკეტმა. გააფრთხილეს ზავაროვი და ხიდიატულინი.

6 სექტემბერს რეიკიავიკში ერთმანეთს შეხვდნენ ისლანდიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები. ისლანდიელებმა ღირსეული მეტოქეობა ვერ გაუწიეს სტუმრებს და დიდი ანგარიშით დამარცხდნენ — 0:3.

**IV ჯგუფი**

ჰელსინკში შედგა ფინეთისა და უელსის გუნდების შეხვედრა. გამარჯვეს ფინელმა ფეხბურთელებმა — 1:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჰოლანდია** | 4 | 2 | 2 | 0 | 8-1 | 6 |
| **გფრ** | 4 | 1 | 3 | 0 | 5-1 | 5 |
| **ფინეთი** | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 3 |
| **უელსი** | 4 | 0 | 2 | 2 | 2-4 | 2 |

**V ჯგუფი**

იუგოსლაველმა ფეხბურთელებმა ბელგრადში ანგარიშით 3:1 დამარცხეს შოტლანდიის გუნდი და პრაქტიკულად გაინაღდეს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება.

ოსლოში ნორვეგიის გუნდთან ფრედ დამთავრებულმა შეხვედრამ (1:1) საფრანგეთის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მოხვედრის ყოველგვარი იმედი გადაუწურა. ამ მატჩში დაწინაურდნენ ფრანგები (პაპენი), მატჩის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე ნორვეგიელთა კაპიტანმა ბრატსეტმა კი საპასუხო ბურთი გაიტანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იუგოსლავია** | 6 | 4 | 2 | 0 | 13-5 | 10 |
| **შოტლანდია** | 6 | 4 | 1 | 1 | 11-8 | 9 |
| **ნორვეგია** | 6 | 2 | 1 | 3 | 9-7 | 5 |
| **საფრანგეთი** | 6 | 1 | 3 | 2 | 5-7 | 5 |
| **კიპროსი** | 6 | 0 | 1 | 5 | 5-16 | 1 |

**VI ჯგუფი**

უნგრელმა ფეხბურთელებმა ბელფასტში დაამარცხეს ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები — 2:1. უნგრელი ფეხბურთელების კოვაჩისა და ბოგანარის ორ გოლს მასპინძლებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს (უაითსაიდი).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **უსპანეთი** | 6 | 5 | 0 | 1 | 14-1 | 10 |
| **ირლანდია** | 6 | 3 | 2 | 1 | 5-2 | 8 |
| **უნგრეთი** | 6 | 2 | 3 | 1 | 6-6 | 7 |
| **ჩრ. ირლანდია** | 7 | 2 | 1 | 4 | 6-9 | 5 |
| **მალტა** | 7 | 0 | 5 | 2 | 3-16 | 2 |

**VII ჯგუფი**

ბელგიისა და პორტუგალიის გუნდების შეხვედრაში, რომელიც ბრიუსელში შედგა, ბელგიელთა სრული უპირატესობა აშკარა იყო. ერთხელ კულემანსმა და ორჯერ ვან დერ ლინდენმა 3 „შრალი“ ბურთი გაიტანეს პორტუგალიელთა კარში. ბელგიელებს ჯგუფში პრაქტიკულად განაღდებული აქვთ იტალიის ერთ-ერთი ფინალური საგზური.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბელგია** | 6 | 4 | 2 | 0 | 12-2 | 10 |
| **ჩეხოსლოვაკია** | 5 | 3 | 1 | 1 | 8-2 | 7 |
| **პორტუგალია** | 4 | 2 | 1 | 1 | 5-5 | 5 |
| **შვეიცარია** | 4 | 1 | 0 | 3 | 5-8 | 2 |
| **ლუქსემბურგი** | 5 | 0 | 0 | 5 | 1-16 | 0 |

### ⊙ ფეხბურთი

**I ლიგა**

**გუშინ** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 31-ე ტურის შეხვედრები.

ბათუმის დინამოელებმა მიიღეს ზაპოროჟიეს „მეტალურგი“.

თამაში დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

**II ლიგა**

**გაიმართა** II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, 33-ე ტურის შეხვედრები: „ნარტი“ (ჩერკესკი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 3:0, „ლოკომოტივი“ (მინ. წყლები) — „ტერმისტი“ (ბაქო) 3:0, „ხაზარი“ (სუმგაითი) — „შევარდენი“ (თბილისი) 3:0, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „გოიასანი“ (ყაზახი) 0:0, „დინამო“ (სოხუმი) — „დილა“ (გორი) 2:0, „კოლხეთი“ (ხობი)— „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 3:0, „კოლხეთი“ (ფოთი) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 3:1, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ტექსტილშრომელი“ (კამიშინი) 2:2, ომც (თბილისი) — „ზვეზდა“ (გოროდიშჩე) 3:2.

**საქართველოს პირველობა**

**მკითხველს** თხოვნით ვაქვეყნებთ ფეხბურთში საქართველოს პირველობის II ჯგუფის (აღმოსავლეთი ქვეჯგუფი) გათამაშების ცხრილს. ფეხბურთის გულშემატკივრები ცხრილიდან მიხვდებიან, რომ გუნდებს არათანაბარი რაოდენობის მატჩები აქვთ ჩატარებული. ჩატარებული მატჩების სწორედ ასეთი სხვაობის გამო, სისტემატურად ვერ ქვეყნდება ცხრილები.

**გათამაშების ცხრილი**

**II ჯგუფი**

**აღმოსავლეთი ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ალაზანი“ | 21 | 17 | 3 | 1 | 78-28 | 37 |
| „კახეთი“ | 19 | 13 | 5 | 1 | 54-21 | 31 |
| „ჰერეთი“ | 18 | 14 | 2 | 2 | 45-19 | 30 |
| სსი (მუხრ.) | 19 | 14 | 2 | 3 | 65-25 | 30 |
| „გარისი“ | 19 | 8 | 7 | 4 | 27-20 | 23 |
| „კოლშეურნე“ | 18 | 8 | 5 | 5 | 47-43 | 21 |
| „სამგორი“ | 19 | 8 | 3 | 8 | 48-42 | 19 |
| „მეტალისტი“ | 19 | 6 | 7 | 6 | 43-41 | 19 |
| „შირაქი“ | 18 | 8 | 1 | 9 | 36-33 | 17 |
| „თრიალეთი“ | 17 | 7 | 2 | 8 | 31-28 | 16 |
| სინ. სპორ. ინ. | 23 | 7 | 1 | 15 | 42-62 | 15 |
| „ალგეთი“ | 16 | 4 | 6 | 6 | 27-42 | 14 |
| „მთონი“ | 18 | 5 | 1 | 12 | 34-51 | 11 |
| ოსუ | 13 | 3 | 1 | 9 | 20-32 | 7 |
| „ვანთიადი“ | 15 | 2 | 3 | 10 | 21-58 | 7 |
| „ქიზიყი“ | 17 | 2 | 2 | 13 | 17-56 | 6 |
| „ვარეჯი“ | 19 | 1 | 3 | 15 | 21-55 | 5 |

## „თოვლის ჯიქებად“ დაბრუნდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დიდი** ხნის წინათ დაწესდა მთამსვლელთა საპატიო წოდება „თოვლის ჯიქი“. ამ წოდებას ანიჭებენ მთამსვლელს, რომელიც ავა სსრ კავშირის ტერიტორიაზე იმ ოთხივე მწვერვალზე, რომელთა სიმაღლე 7000 მეტრს აღემატება. ესენია: კომუნიზმის, ლენინის, კორჟენევსკაიასა და გამარჯვების პიკები.

ამ მწვერვალებზე ქართველი მთამსვლელები არაერთხელ ასულან. ასულან ახალი, ურთულესი გზებითაც და საკავშირო ჩემპიონატებში მრავალი მედალიც მოუპოვებიათ. მათ მიერ გაკვალულ ერთ-ერთ ბილიკს, კომუნიზმის პიკზე, შემდეგ ქართველთა გზა ეწოდა. მერე და მერე ამ მწვერვალებზე ზოგიერთი მარშრუტი ისე „გაიტკეპნა“, რომ მასზე უკვე ჩვეულებრივი სავარჯიშო ასვლები და მასობრივი ალპინიადებიც კი ჩაუტარებიათ.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინათ ტრაგიკულად დაღუპული სსრ კავშირის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი სერგო ბარლიანი ქართველ მთამსვლელთა შორის თავისებურ რეკორდსმენად მოგვევლინა. იგი „შვიდიათასიან“ მწვერვალებზე ექვსჯერ ავიდა.

და მაინც, საქართველოში აქამდე არ გამოჩნდა მთამსვლელი, რომელიც ოთხივე „შვიდიათასიან“ მწვერვალს დაიპყრობდა. განა ჩვენს მთამსვლელებს ეს არ ძალუძდათ, პირიქით, მაგრამ ისინი საკავშირო ჩემპიონატებით იყვნენ დაკავებულნი. თუმცა „თოვლის ჯიქის“ წოდების მოსაპოვებლად იყო ერთი მთავარი ხელშემშლელი მიზეზი — გამარჯვების პიკი (ქართველმა მთამსვლელებმა თავის დროზე იქ დიდი გამარჯვება მოიპოვეს)

ალპინისტებისათვის დაიხურა და მასზე ასვლის ნებას აღარავის აძლევდნენ. ამიტომ „თოვლის ჯიქებად“ აღიარება არა მხოლოდ ქართველთათვის, საერთოდ ყველასთვის შეუძლებელი გახდა. ბოლოს „თოვლის ჯიქის“ ტიტულის მოსაპოვებლად, გამარჯვების პიკის ნაცვლად, მთამსვლელებს ნება დართეს ტიან-შანის სხვა სახელგანთქმულ და ულამაზეს მწვერვალ ხან-თენგრიზე ასულიყვნენ. ამ მწვერვალს 7000-მეტრამდე, როგორც იტყვიან, ერთი ხელის გაწვდენაღა აკლდა.

და აი, ქართველმა მთამსვლელებმა თავიანთ ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად „თოვლის ჯიქის“ წოდების მოპოვება დაისახეს, რისთვისაც შარშან პამირში კომუნიზმისა (7495) და კორჟენევსკაიას (7105 მ) პიკები დალაშქრეს.



მწვერვალი ხან-თენგრი (პუნქტირით ნაჩვენებია ქართველ მთამსვლელთა მიერ გავლილი გზა).

წელს ჩვენი მთამსვლელები ჯერ პამირში ლენინის პიკზე (7134 მ) ავიდნენ. გამარჯვების სიხარული გაიზიარეს: ექსპედიციის ხელმძღვანელმა რომან გიუტაშვილმა, გიორგი თორთლაძემ (რომელიც, ამავე დროს, გუნდის მწვრთნელიც გახლდათ), გივი ქართველიშვილმა, თამაზ ბაქანიძემ, დავით ჩანტლაძემ, გიორგი დვალმა, გელა ოთარაშვილმა, გივი გიგაურმა, დავით იოსელიანმა, ჯარჯი აქიმიძემ (ყველა თბილისი), აფი გიგანმა, ამირან დოლიძემ (ორივე ქუთაისი), ბენო ქაშაკაშვილმა, ეროსი კინწმარაშვილმა (ორივე რუსთავი) და თამაზ წიკლაურმა (ყაზეგი).

აღსანიშნავია, რომ გიუტაშვილი, ქართველიშვილი და ბაქანიძე 50 წელს გადაცილებულნი არიან.

პამირის მერე მთამსვლელებმა ტიან-შანს მიაშურეს და იქ ხან-თენგრი დალაშქრეს. მწვერვალზე ისინი სამხრეთ-დასავლეთის ფერდობიდან (სამხრეთ ინილჩეკის მყინვარის მხრიდან) ავიდნენ. ქართველ მთამსვლელთაგან ეს ჯგუფი ამ მწვერვალის პირველდამპყრობნი აღმოჩნდნენ. მათ შორის არ იყვნენ ქართველიშვილი, დვალი და კინწმარიშვილი.

ამის შემდეგ მწვერვალიდან გიუტაშვილი, ბაქანიძე, გიგაური, გიგანი და დოლიძე „თოვლის ჯიქებად“ დაბრუნდნენ.

ბრლოს ჩვენს მთამსვლელებს შეუერთდნენ თბილისელები ვახტანგ სვანიძე, გურამ კუპავა და პავლე კოლობოვი, რომლებმაც ტექნიკური ასვლები განახორციელეს ჯიგიტზე, ალბატროსზე, აუთორაზე და მენდელეევის სახელობის მწვერვალზე.

**ავთანდილ ჭუკიშელი.**

**საქართველოს მთამსვლელთა ერთი ჯგუფი. საქინფორმის ფოტოქრონიკა.**

## პროფესტი

**გაზეთ** „სოვეტსკი სპორტის“ გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა წერილი „წინააღმდეგი ვართ“. მასში ლაპარაკია იმაზე, რომ პროფკავშირთა საკავშირო ნფსს ცენტრალური საბჭო კატეგორიულად წინააღმდეგია სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებისა ვილნიუსის „ჟალგირისის“ ფეხბურთელების ა. ნარბეკოვასა და ვ. ივანაუსკასს სსრ კავშირის ჩემპიონატში 3-3 კალენდარული მატჩით მიეცეთ დისკვალიფიკაცია, რაც გამოიწვია ამ ფეხბურთელების გამოუცხადებლობამ სსრ კავშირის ნაკრებში პოლონეთის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად. ეს სანქციები ძირითადად მიმართულია „ჟალგირისის“ დასასუსტებლად საკავშირო ჩემპიონატში საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში, არ ითვალისწინებს გუნდში შექმნილ რთულ სიტუაციას, რაც გამოიწვია უნივერსიადა-89-ის პროგრამის შეცვლამ, რის შედეგადაც „ჟალგირისი“ სათამაშო პრაქტიკის გარეშე დარჩა.

„მიგვაჩნია, რომ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა ბოლომდე არ გაარკვია საქმის ნამდვილი ვითარება „ჟალგირისის“ გუნდში და ნაჩქარევი დასკვნა გამოიტანა, რომელიც უნდა გადაისინჯოს“.

წერილს ხელს აწერს პროფკავშირთა საკავშირო ნფსს ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ბ. როგატინი.

„დინამიადა-89“

## „ლევსკი სპარტაკი“ პირველ თამაშობდა

**კალათბურთელ** ვაჟთა დინამიადის მესამე ტურში თბილისელთა მეტოქე იყო ჩელიაბინსკის კოლექტივი, რომელმაც წინა ორ ტურში ვერაფრით ისახელა თავი. ორივეჯერ დიდი ანგარიშით დამარცხდა, საქართველოს კალათბურთელებთან ორთაბრძოლა კი აქტიურად დაიწყო. უფრო მეტიც, იგი მეოთხე წუთზე წინ იყო ოთხი ქულით. ეს იყო და ეს, სტუმრების უპირატესობას აქ დაესვა წერტილი. ჩვენი კალათბურთელები რამდენიმე ლამაზი კომბინაციის გათამაშების შემდეგ თავად დაწინაურდნენ. პირველი ტაიმი თერთმეტქულიანი უპირატესობით მოიგეს — 50:39. თბილისელებს ინიციატივა არც შესვენების შემდეგ დაუთმიათ. თავდასხმაში აქტიურობდა კახაბერ შენგელია, რომელმაც ამ მატჩში ყველაზე მეტი — 27 ქულა მოუტანა კოლექტივს. სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდებმა კარგად აუბეს მხარი ვეტერანებს. სწორედ ერთიანმა ძალისხმევამ გაამარჯვებინა ამ დღეს თბილისელებს დიდი ანგარიშით — 109:83. დამარცხებულთაგან თავი გამოიჩინა ვ. მალცევმა, რომელმაც 23 ქულა შესძინა გუნდს.

წინა შეხვედრასთან შედარებით ბევრად უკეთ გამოიყურებოდნენ „ლევსკი სპარტაკის“ კალათბურთელები. ფრუნზეს „დინამოსთან“ შეხვედრისას ისინი მთელი თამაშის მანძილზე წინ იყვნენ, საბოლოო გამარჯვებაც მათ დარჩათ — 92:80 (44:39).

გუშინ თბილისელები ბულგარელ კალათბურთელებთან დამარცხდნენ — 86:90 (41:50). მოსკოველებმა სძლიეს ფრუნზელებს — 108:64 (57:27). დღეს ბოლო, გადამწყვეტი ტურია. 13,00 საათზე სპორტის სასახლეში ერთმანეთს ხვდებიან სოფია-ჩელიაბინსკი, ხოლო 14.30 საათზე — თბილისი-მოსკოვი. დინამიადის გამარჯვებულიც დღეს გამოვლინდება.

**პაპა დანელია.**

## დათვური სამსახური

**გაიმართა** საბჭოთა კავშირის რაგბის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა. პრეზიდიუმის წევრებმა, საბჭოთა კავშირის ნაკრებისა და ზოგიერთი კლუბის მწვრთნელებმა გამოთქვეს პრეტენზიები რაგბის სახელმწიფო მწვრთნელის ე. ტატურიანის მუშაობის სტილისადმი. რაგბის სპეციალისტთა აზრით, ე. ტატურიანი აკნინებს ამ სახეობას, მან მთელი თავისი ყურადღება და მზრუნველობა გადაიტანა ამერიკულ ფეხბურთზე.

ასე მაგალითად: მოსკოვის „სლავას“ ძირითადი შემადგენლობის ხუთმა მოთამაშემ შუა სეზონში მიატოვა გუნდი და გადავიდა „რუს დათვებში“, კლუბში, რომელიც ამერიკულ ფეხბურთს თამაშობს. სხვათა შორის, „დათვების“ ერთ-ერთი მწვრთნელი გახლავთ რაგბის სახელმწიფო მწვრთნელის ვაჟი ი. ტატურიანი. გარდა ამისა, ამ კლუბში მთელი შემადგენლობით გადავიდნენ მოსკოვის „სპარტაკის“ მოთამაშეები და მწვრთნელები, რომლებიც სათამაშოდ არ გამოცხადდნენ საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩზე ლვოვის „სოკოლთან“.

ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე მკაცრად გააკრიტიკეს საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელობა, რომელსაც სათავეში უდგას ე. ტატურიანი. გუნდის გეგმები, მისი შემადგენლობა ბოლო ორი წლის განმავლობაში არ განხილულა და არ დამტკიცებულა ფედერაციის პრეზიდიუმის მიერ.

მიღებულია გადაწყვეტილება, ეთხოვოს საკავშირო სპორტსახკომს მოსკოვის „სლავას“ ხუთი მოთამაშის დისკვალიფიკაცია და მათთვის სპორტული წოდებების ჩამორთმევა, აგრეთვე, სპორტსახკომის სისტემაში რაგბისა და ამერიკული ფეხბურთის განცალკევება.

„სოვეტსკი სპორტს“ გეგმაში აქვს დაუბრუნდეს ამ თემას საბჭოთა კავშირის რაგბის ფედერაციის თავმჯდომარესთან ვ. ილიუშინთან საუბარში.

**ს. როდიონოვა.**

**„ხოვეტსკი სპორტი“, 8 სექტემბერი.**

# ნუგეშად... დაპირება

**ჩვენს ჭიდაობის გულშემატკივრებს უთუოდ გული დასწყდათ, რომ ჯერ კლასიკური და შემდეგ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში ვერც ერთმა ქართველმა ფალავანმა ვერ მიიღო მონაწილეობა. განსაკუთრებით მოულოდნელი გამოდგა სსრ კავშირის ნაკრების საბოლოო შემადგენლობა თავისუფალ ჭიდაობაში, რადგან ამ გუნდის პრეტენდენტად რამდენიმე ჩვენი, უდავოდ გამოჩენილი მოჭიდავე ითვლებოდა. ჩვენ ადრე მკითხველებს შევპირდით, რომ ვაცნობებდით მიზეზებს, რის გამოც ქართველი ფალავნები ვეღარ დამკვდრდნენ ნაკრებში. და აი, რედაქციაში მოვიწვიეთ ოლიმპიური ჩემპიონი დავით გოგეჯიშვილი, რომელმაც გვიამბო ამის შესახებ.**

— ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატის წინ ქვეყნის ნაკრების უფროს მწვრთნელს იარიგინისა და ჩემს შორის უცნაური დამოკიდებულება დამყარდა. მაშინ მან შემომთავაზა, მსოფლიო თასის გათამაშებაზე წაგიყვან, თვითონ თასზე არა და იქვე, ამერიკაში, ერთ-ერთ ამხანაგურ შეხვედრაში გამოგიყვანო. მე ვიუარე, ევროპის ჩემპიონატში მინდა გამოსვლა-მეთქი და ამაზე შევთანხმდით.

მაგრამ ჩავედი ბოლო საწვრთნელ შეკრებაზე და ნაკრები გუნდი... უკვე დაკომპლექტებული დამხვდა. იარიგინმა მომიბოდიშა, სტამბოლში ახალგაზრდები მინდა გამოვცადო და გუნდში იმიტომ არ ჩაგრიცხეო. ამის გამო ამერიკაშიც ვეღარ წავედი, უკვე გვიან იყო.

მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატში გამოსასვლელად მე, ჩემი აზრით და იარიგინის ნათქვამითაც, უპირატესობა მქონდა ყველა მეტოქის წინაშე, როგორც ოლიმპიურ ჩემპიონს. მთავარი იყო, ქვეყნის ჩემპიონატზე არ ჯავშარცხებულიყავი. უკვე იცით, ასეც მოხდა, მახაჩყალაში ფინალში ფრთხილად ვიჭიდავე და ფრედ დავამთავრე შეხვედრა ასლან ხადარცევთან.

მაგრამ კისლოვოდსკში, ბოლო საწვრთნელ შეკრებაზე, პირდაპირ გამომიცხადეს: ხადარცევს თუ მოუგებ, მაშინ მოხვდები გუნდშიო. იარიგინს ვუთხარი, თუ მაინცდამაინც მაგისი წაყვანა გინდა მსოფლიო ჩემპიონატზე, წაიყვანე, მე პრეტენზია არ მექნება-მეთქი. დამამშვიდა, არა, შენ უნდა წაგიყვანო, მაგრამ მაინც დაიჭიდეო.

ჩვენი ხუთწუთიანი შეხვედრა ფრედ დამთავრდა. ამის შემდეგ შემოგვთავაზეს... კენჭი გვეყარა მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებლად. ჩვენ ცივი უარი ვუთხარით, ეს უფლება ყველაფრით მე მეკუთვნოდა.

საღამოს კი გუნდის საბოლოო შემადგენლობა დაასახელეს. ჩემი გვარი არ უხსენებიათ. ამის გამო ხანგრძლივი საუბარი მქონდა იარიგინთან, ჩემი რა ბრალია, მწვრთნელთა საბჭომ ასე გადაწყვიტაო, — მითხრა, თუმცა, კარგად ვიცი, ვისი სიტყვაა ნაკრებში გადამწყვეტი.

არ ვიცი, უცნაური კაცია, თითქოს მეგობრულად არის ჩემდამი განწყობილი, ხშირად ესაუბრობთ, თითქოს გულისნადებსაც მიზიარებს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ჩემს საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

ახლაც მითხრა, ეს ბოლო შანსია ხადარცევისთვის, მერე თავს ანებებს ჭიდაობას და შემდეგ პირველი ნომერი მუდამ შენ იქნები, ყველაფერი წინა გაქვსო. ისე აღელვებული ვიყავი, ეუთხარი, მეც აღარ ვიჭიდავებ-მეთქი.

კისლოვოდსკში გოგოლაშვილსაც 82 კილოგრამ წონაში ასეთი პირობა ჰქონდა წაყენებული — ჯაბრაილოვისთვის უნდა მოეგო. ის იყო, მათი შეხვედრა ფრედ უნდა დამთავრებულიყო, რომ ბოლო წამზე ჯაბრაილოვმა კონტრილეთზე დაიჭირა ავთო და ორი ქულა მოუგო.

62 კილოგრამ წონაში წაადგა ქვეყნის ჩემპიონმა, ყვარელელმა შამილ მაგომედოვმა, მაგრამ აქ წინასწარ იყო გადაწყვეტილი, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე სარქისიანი წავიდოდა. ლერი ხაბელოვი იმ დროს უცხოეთში იყო და კისლოვოდსკში ვერ ჩამოვიდა. იარიგინი არც მას უყურებს მაინცდამაინც კარგი თვალით.

ასე დავრჩით ყველანი შინ. ეს მთლად ჩვენი ბრალი არ არის, აშკარად ვგრძნობთ, რომ ვიღაცვიღაცებს ჩვენ, ქართველი მოჭიდავეები, გულზე არ ვეხატებით. ასე უნდა იყოს კლასიკურ ჭიდაობაშიც: 100 კილოგრამ წონაში უკვე ათი წელია მსოფლიო ჩემპიონი აღარ ჰყოლიათ გურამ გედეხაურის გარდა და ისიც შინ დატოვეს....

ასლან ხადარცევმა, როგორც იცით, ამერიკელ ბრიუს ბაუმგარტნერთან წაადგა პირველივე შეხვედრა. მე ტელევიზორის ეკრანზე ვუყურე ჩემპიონატს და გული დამწყდა. არა, ბაუმგარტნერი ძალიან ძლიერი მოჭიდავეა და იმის თქმის უფლება არა მაქვს, რომ აუცილებლად ვაჯობებდი, მაგრამ იმ ირანელთან, სულეიმანთან, ბაუმგარტნერს რომ მოუგო ფინალში, ნამდვილად არ დავმარცხდებოდი. უკვე ექვსი წელია რაც ბაუმგარტნერს ვიცნობ და ჯერ არ მინახავს, ასე ცუდად ეჭიდაოს.

სულეიმანს კი ამას წინათ ირანში შეეხვედი და 12:0 მოუგეე. მასპინძლებმა მთხოვეს, შეხვედრა გაგრძელეთო და ანგარიში 17:0-მდე ავიყვანე. მასთან მართლაც არ წავაგებდი. ან კიდევ, როგორ დაუთმეს მძიმე წონის მოჭიდავეებმა აბსოლუტური პირველობა ატავოვს, რომელიც მხოლოდ 100 კილოგრამს იწონის... მოკლედ, მართლაც დამწყდა გული.

**ჩვენ რედაქციაში მოვიწვიეთ საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვლადიმერ მესტვირიშვილი, რომელმაც გაგვიზიარა თავისი მოსაზრებები.**

— მე მწვრთნელთა საკავშირო საბჭოს წევრი ვარ, — გვითხრა მან.

— ბოლო თავშეყრასაც, ცხადია, ვესწრებოდი. ნაკრების საბოლოო შემადგენლობის გამოქვეყნებამ დიდი გაკვირვება და უკმაყოფილება გამოიწვია საბჭოს წევრებში. მარტო საქართველოს მოჭიდაველებზე არ არის ლაპარაკი, სხვებმაც დაჩაგრულად იგრძნეს თავი, მაგალითად, 100 კილოგრამ წონითს კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს ყველაზე მეტად ოპანესიანი იმსახურებდა, მან გაიმარჯვა სეზონის ყველა მნიშვნელოვან ტურნირში, ხოლო ატავოვს, რომელიც გუნდში მოხვდა, წელს უკვე ჰქონდა შეხვედრა წაგებული, ისიც ძირითად მეტოქესთან, ამერიკელ ბილ შერთან. მახსოვს, ლერი ხაბელოვი ქვეყნის ნაკრებიდან სწორედ შერთან ერთადერთი წაგების გამო გამოიყვანეს...

52 კგ წონაში ტოგუზოვი ოლიმპიადის შემდეგ არსად გამოსულა და მაინც მოხვდა გუნდში. ასევე ეფენდიევიც, მიუხედავად იმისა, რომ იგი შვიდი წელია „სერიოზულ“ ტურნირზე არ ვინახავს.

ასეთი მაგალითები სხვაც იყო. მაგრამ ჩვენ ჩვენს სატკივარს უნდა მივხედოთ: ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონი, ყვარელელი შამილ მაგომედოვი საკონტროლო შეხვედრაში მსოფლიო ჩემპიონ ისაევს დააჭიდეს. შამილმა 3:0 მოუგო ძლიერ მეტოქეს. საკავშირო ნაკრების მწვრთნელებმა ისაევზე ხელი ჩაიქნიეს, მაგრამ ამით მაგომედოვს არაფერი ეშველა: უფრო მძიმე, 68 კგ წონითი კატეგორიიდან „გადმოიყვანეს“ სარქისიანი და შამილს ახლა მასთან მოუხდა შერკინება, უფრო მძიმე და ფიზიკურად ძლიერ მეტოქეს ვეღარ სძლია და ჩემპიონატზე სარქისიანი გაემგზავრა, ზედმეტი კილოგრამები კი სარქისიანმა მოგვიანებით დაიკლო...

ასეა ყოველთვის: ჩვენ ისეთ პირობებში გვაყენებენ, აუცილებლად სხვებზე მეტი უნდა გავაკეთოთ, რათა ნაკრებში მოვხვდეთ. ეს ძალზე ძნელი ამოცანაა. ჭიდაობა, რაც უნდა იყოს მძიმე, ძალისმიერი სახეობაა და იმისთვის, რომ მეტოქეზე მთელი თავით მაღლა იდგე, უნიკალური მონაცემები უნდა გქონდეს. მოკლედ, ისეთი მოჭიდავე უნდა იყო, როგორიც იყო ვთქვათ, ვლადიმერ რუბაშვილი, ანდა ბოლო ხანებში — არსენ ფაძაევი.

...იარიგინს დიდხანს ველაპარაკე. თავი იმართლა, ზომ იცი, ყველაფერი ჩემზე არ არის დამოკიდებულიო; აი, შარშან, რამდენმა დამარეკა „ზემოდან“, რატომ ჩარიცხე გობეჯიშვილი ოლიმპიურ ნაკრებშიო. შარშან ჩემი გავიტანე, ახლა კი ეს ჩემს ძალას აღემატება და უნდა გამიგოო...

იარიგინს მართლაც გაუმართლა მსოფლიო ჩემპიონატში, თორემ ანლა მას თავზე ხელს აღარ გადაუსვამდნენ. გამარჯვებულს კი, ნათქვამია, არ ასამართლებენო.

ეტყობა, ჩვენც, საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმაც, დავუშვით რაღაც შეცდომები. მაგრამ გამოგიტყდებით, არც კი ვიცი, მაინც სად შევცდით. გუნდის წევრები კარგად იყვნენ მომზადებული და თავი არ დაუზოგავთ. თუმცა იმ მდგომარეობასაც, რომელსაც ჩვენ გვიქმნიან, უნდა ავუღოთ ალღო და რაც შეიძლება მეტი სპორტსმენი მივავლინოთ ნაკრებში.

ქართველ გულშემატკივრებს კი მინდა ვუთხრა, რომ 1990-1991 წლები „ჩვენი“ წლები უნდა იყოს: გუნდში თანდათან დაოსტატდნენ ახალგაზრდა მოჭიდავეები. შედარებით უფროსებსაც არ გამოლევიათ „თოფის წამალი“. სასიხარულოა ისიც, რომ ოცდახუთწლიანი ინტერვალის შემდეგ, 1991 წელს, ქვეყნის ჩემპიონატი კვლავ საქართველოში გაიმართება. ამდენ ხანს, ეტყობა, იმიტომ გვარიდებენ ამ ტურნირს, რომ მისი თბილისში ჩატარების შემდეგ ჩვენი ფალავნების აღზევება იწყებოდა ხოლმე.

ჩაიწერა
**გიორგი ჩოჩიშვილმა.**

## ... სსრ კავშირის ... ჩემპიონატი რაგბიში

**გაიმართა** ნახევარფინალის მეხუთე ტურის მატჩები. „ბ“ ქვეჯგუფში, სადაც ჩვენი გუნდები გამოდიან, ქუთაისის „აიამ“ შინ, სძლია კრასნოიარსკის ეტს-ს — 22:18. თბილისის „ელმავალმა“ მოსკოვში წააგო იქაურ „ფილისთან“ — 16:20.

„ა“ ქვეჯგუფში კიევის „ავიატორი“ თავის მინდორზე დამარცხდა „სლავასთან“ (13:21), რითაც ფინალში მოხვედრის თეორიული შანსიც დაკარგა. მონინოს სსა-მ მოსკოვში სძლია „ლოკომოტივს“ — 6:3.

**გათამაშების ცხრილები**

**მდგომარეობა 9 სექტემბრისათვის**

(ფრჩხილებში მოტანილია ქულათა საერთო რაოდენობა და იმ ქვეჯგუფის ინდექსი, რომელშიც გუნდი ამჟამად ასპარეზობს)

**I-IV ადგილებისათვის**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „აია“ | 5 | 5 | 0 | 0 | 10 | (41 ბ) |
| სსა | 4 | 2 | 1 | 1 | 5 | (41 ა) |
| ეტს | 4 | 2 | 0 | 2 | 4 | (38 ბ) |
| „ლოკომ.“ | 5 | 1 | 1 | 3 | 3 | (31 ა) |

**V-VIII ადგილებისათვის**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სლავა“ | 5 | 2 | 2 | 1 | 6 | (28 ა) |
| „ავიატორი“ | 4 | 1 | 2 | 1 | 4 | (25 ა) |
| „ფილი“ | 3 | 1 | 0 | 2 | 2 | (23 ბ) |
| „ელმავალი“ | 4 | 0 | 0 | 4 | 0 | (22 ბ) |

მეექვსე ტურში: 10 სექტემბერს, ითამაშებენ: სსა — „სლავა“, „ლოკომოტივი“ — „ავიატორი“; ეტს — „ელმავალი“, „აია“ — „ფილი“.

◆✦◆✦◆

# ვიდრე გონგს შემოჰკრავენ

**გულშემატკივრებს** საერთაშორისო მასშტაბის ასპარეზობათა მთელი წყება ელით სექტემბერში, რომელთაგან ყველაზე მეტ პროგნოზს, რაღა თქმა უნდა, მძლეოსანთა მსოფლიო თასის გათამაშება (ბარსელონა) და მოყვარულ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატი იწვევს. ამ უკანასკნელს, როგორც ცნობილია, მოსკოვის „სპორტკომპლექს „ოლიმპიისკის“ დახურულმა სტადიონმა უნდა უმასპინძლოს. ახლა იქ ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის მზადება „ფინიშის სწორზე“ გავიდა. ორგანიზატორებს გათვალისწინებული აქვთ ყოველი წვრილმანიც კი, რათა შეჯიბრების 300-მდე მონაწილეს და მათს ქომაგებს დიდხანს დაამახსოვრდეთ ასპარეზობის დღეები.

მოსკოვში საქმიანი ვიზიტით უკვე იყვნენ სამყოვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის — აიბა-ს პრეზიდენტი, პაკისტანელი ანვარ ჩაუდრა, ასოციაციის გენერალური მდივანი კარლ-ჰაინც ვერი (გდრ), აგრეთვე ოფიციალური ტექნიკური დელეგატები, რომლებმაც სათანადოდ შეაფასეს მზადება, აღმოუჩინეს პრაქტიკული დახმარება ორგანიზატორებს, საგულისხმოა, რომ მშენებლებს რაიმე სერიოზული შენიშვნა არ მიუღიათ.

უჩვეულო იქნება ჟურნალისტთა კორპუსიც. უკვე მიღებულია 400-მდე საბჭოთა და უცხოური სააგენტოს, ტელეკომპანიების, გაზეთებისა და ჟურნალების მუშაკთა განაცხადები, რომლებიც ასპარეზობის მსვლელობისას სრული ინფორმაციით იქნებიან უზრუნველყოფილი, აკრედიტებულ ჟურნალისტებს ყოველდღე შეხვდება აიბა-ს პრეზიდენტი ანვარ ჩაუდრი.

მაგრამ ნებისმიერ ტურნირს, პირველ ყოვლისა, მონაწილეები ამმშვენებენ. მოსკოვის ორთაბრძოლები არც ამ მხრივ დატოვებს კრივის მოყვარულებს გულნაკლულნ. ესინი რინგზე იხილავენ საბჭოთა კავშირის, კუბის, ამერიკის, ბულგარეთის, აგრეთვე სხვა ქვეყნების უძლიერეს მოკრივეებს.

## ნიუ-იორკის პორტებზე

**გრძელდება** ამერიკის ღია პირველობა. იუნიორთა ტურნირში კიეველმა ნატალია მედვედევამ ბრძოლა დაუთმო იტალიელ კატი კავერცაზიოს — 1:6, 2:6. წარუმატებლად გამოვიდა მისი თანაგუნდელი მარტინ დამიც, რომელიც დამარცხდა ბაგამის კუნძულების წარმომადგენელ მარკ ნოულზთან — 6:4, 1:6, 3:6.

ვაჟთა ერთეულთა თანრიგის მეოთხედფინალში ჩეხოსლოვაკიელმა ივან ლენდლმა დამაჯერებლად სძლია ამერიკელ ტიმ მაიოტის — 6:4, 6:0, 6:1, ანდრე აგასიმ კი ჯიმი კონორსი დაჯაბნა 6:1, 5:6, 0:6, 6:3, 6:4. (ორივე აშშ).

შტეფი გრაფმა (გფრ) და არგენტინელმა გაბრიელა საბატინიმ წაადგეს ქალთა წყვილების ნახევარფინალური შეხვედრა ავსტრალიელ ხანა მანდლიკოვასთან და ამერიკელ მარტინა ნავრატილოვასთან — 1:6, 5:7, ხოლო ნიკოლ პროვისმა (ავსტრალია) და ელნა რეინახმა (სამხრ აფრ.) ვერაფერი გააწყვეს ამერიკელთა წყვილ მერი ფერნანდესთან და პამ შვაიერთან შეხვედრაში — 7:6, 4:6, 3:6.

**დოპინგის მწარე საზღაური**

# ჯონსონი ეთხოვება ჯილდოებს

**სეულის** ოლიმპიადაზე თავლაფდასხმული კანადელი სპრინტერი ბენ ჯონსონი თანდათან კარგავს ყველაფერ იმას, რაც აღნიშნულ სკანდალამდე ბრწყინვალე სპორტული კარიერის მანძილზე მოიმკო. როგორც იცით, მას ჩამოერთვა ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი და გაუუქმდა ფანტასტიკური მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე რბენაში (9,79), რომელიც მან იქვე სეულში დაამყარა.

ახლა კი ბარსელონიდან მოვიდა ცნობა, რომ მძლეოსნობის საერთაშორისო ასოციაციის (იაიფი) კონგრესმა გადაწყვიტა, ბენ ჯონსონს ჩამოართვას ძველი მსოფლიო რეკორდიც, რომელიც მან მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე, რომში დაამყარა — 9,83. ეს განზრახვა იაიფს ნამდვილად იმან უკარნახა, რომ ჯონსონმა სასამართლოზე აღიარა, აკრძალულ პრეპარატებს 1981 წლიდან ვიღებდიო. როგორც ხედავთ, 1987 წელი — მსოფლიოს აღნიშნული ჩემპიონატის ჩატარების თარიღი, — ამ პერიოდს ემთხვევა.

მე თვითონ ვიყავი რომის „ფორო-ოლიმპიკოზე“ ამ ფენომენალური რეკორდის დაბადების მოწმე, რომლის ექო ბომბის ხმასავით ელვისებურად გავრცელდა ყველგან. როცა ფინალური გარბენის შემდეგ უზარმაზარ ტაბლოზე აინთო ციფრები — 9,84, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს აპარატურა მოიშალაო. ტაბლომ მართლაც შეიცვალა პირველი „ვერსია“, ოღონდ მხოლოდ იმისთვის, რომ უფრო უკეთესი შედეგი — 9,83 აენთო.

ჯონსონი, დოპინგის მიღებაში მხილების მიუხედავად, მაინც უდიდეს სპორტსმენად რჩება. ძნელი დასაჯერებელია რომ სხვა ვინმეს გაერბინა 100 მეტრი 9,79 წამში, თუნდაც სტარტის წინ ის ავადსახსენებელი პრეპარატი სტანაზოლოლი მიეღო.

აკრძალულ პრეპარატებს ახლა ბევრი ათლეტი იყენებს. ამასვე აკეთებდა ჯონსონი. სეულის ოლიმპიადამდე სხვების მსგავსად ისიც მოხერხებულად მალავდა მათ კვალს საკუთარ ორგანიზმში (ამის მრავალი მეთოდი არსებობს), ამიტომ ძალზე საკვირველი ჩანს რომ სეულში იგი ასე, რომ იტყვიან, ბავშვივით გამოიჭირეს. ამ საკითხზე ვესაუბრე ცნობილ მძლეოსნებს, ისინიც დაეჭვებულნი იყვნენ და ორმა მეტად პატივსაცემმა, ავტორიტეტულმა პიროვნებამ ასეთი აზრი გამოთქვა: მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანის სახელი დიდი ავტორიტეტისა და შემოსავლის მომტანია და ჯონსონი უბრალოდ „შინაურებმა“ (ექიმმა ან მწვრთნელმა) გაწირესო მეტოქეთა სასარგებლოდ.

ამის პასუხი იქნებ მომავალ წესლვე შევიტყოთ; ჯონსონი ახლა გაცხოველებით ვარჯიშობს და აპირებს ერთი წლის შემდეგ, როდესაც დისკვალიფიკაციის ვადა უთავდება, სარბენ ბილიკზე შეეცადოს თავის ძირითად მეტოქეს, ექვსგზის ოლიმპიურ ჩემპიონს კარლ ლუისს.

სხვათა შორის, მსოფლიო რეკორდსმენად 100 მეტრზე რბენაში ახლა სწორედ ამერიკელი ლუისი უნდა გამოცხადდეს, მისი შედეგი — 9,92 საუკეთესო მიღწევაა ჯონსონის სწრაფი წამების შემდეგ.

ამბობენ, ბენ ჯონსონს შეიძლება ჩამოართვან ის ორი ბრინჯაოს მედალი, რომელიც მან ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე დაიმსახურა 100 მეტრზე რბენაში და 4X100 მეტრზე ამანთრბენში. ყოფილი ჩემპიონის „კანონიერი ძარცვა“ გრძელდება.

**გიორგი პავლიაშვილი.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380094, თბილისი, ლენინის ქ. 14,
ტელეფონებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-53,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„ფერანი“ — 93-97-26, „ბორცვი“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 38435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ოფსეტური წესით ბეჭდავს ეროვნული კორპუსში: ხიშარიულის, 28.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 00258

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**